

შ.პ.ს. „FISHWORLD“

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული

საანგარიშგებო წლისათვის

ს ა რ ჟ ე ვ ი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა -განმარტებითი შენიშვნები	5

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები			
	შენიშვნა	31/12/2018	31/12/2017
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	222,748	183,336
სავაჭრო მოთხოვნები	5	513,034	418,143
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	6	110,180	175,003
წინასწარ გაწეული ხარჯი			31,418
მარაგი	7	610,426	489,297
- მზა პროდუქცია		609,818	488,853
- სხვა		608	444
ძირითადი საშუალებები	8	401,733	305,582
- მიწა		116,903	116,903
- შენობა-ნაგებობა		242,038	164,528
- სხვა ძირითადი საშუალებები		42,792	24,151
სულ აქტივები		1,858,121	1,602,779
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
ვალდებულებები	შენიშვნები	2018	2017
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები		62,230	211,872
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები		7,876	
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	9	903,296	631,306
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები		973,402	843,178
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		10,000	10,000
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება		874,719	749,601
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ კაპიტალი		884,719	759,601
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,858,121	1,602,779

ვასილი სომსივე
დირექტორი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები			
	შენიშვნა	31/12/2018	31/12/2017
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	222,748	183,336
სავაჭრო მოთხოვნები	5	513,034	418,143
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	6	110,180	175,003
წინასწარ გაწეული ხარჯი			31,418
მარაგი	7	610,426	489,297
- მზა პროდუქცია		609,818	488,853
- სხვა		608	444
ძირითადი საშუალებები	8	401,733	305,582
- მიწა		116,903	116,903
- შენობა-ნაგებობა		242,038	164,528
- სხვა ძირითადი საშუალებები		42,792	24,151
სულ აქტივები		1,858,121	1,602,779
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
ვალდებულებები		შენიშვნები	2018
			2017
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები		62,230	211,872
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები		7,876	
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		9	903,296
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			
სულ ვალდებულებები		973,402	843,178
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		10,000	10,000
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება		874,719	749,601
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ კაპიტალი		884,719	759,601
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,858,121	1,602,779

ვასილი სიმსივე
დირექტორი

ნეტო ამონაგები	შენიშვნა	3,249,819
- საქონლის გაყიდვიდან		4,332,626
- სხვა		1,419

რეალიზებული პროდუქციის ღირებულება		(2,641,126)
- საწყისი მარაგი		(489,297)
- შესყიდვა		(4,090,216)
- საბოლოო მარაგი		610,426

საერთო მოგება		363,539
----------------------	--	----------------

დასაქმებულთა ანაზღაურება		(73,884)
ცვეთა/ამორტიზაცია		(3,537)
იჯარის ხარჯი		(13,832)
საპროცენტო ხარჯი		(49,956)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(98,631)
სულ საოპერაციო ხარჯი		(238,421)
სულ საოპერაციო მოგება		125,118

მოგება/ზარალი/მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		125,118
--	--	---------

მოგების გადასახადი		
--------------------	--	--

მოგება/ზარალი		125,118
----------------------	--	----------------

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		125,118

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		759,601
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		125,118
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		884,719
---	--	----------------

შპს „FISHWORLD“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შპს FISHWORLD“ ს/კ 412683779 (შემდგომში „კომპანია“) დაარსებულია 2012 წლის 2 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საწარმოს 100% წილის მფლობელს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს ფიზიკური პირი ვასილი სიმსივე, რომელიც ასევე ხელმძღვანელობს საწარმოს ყოველდღიურ საქმიანობას როგორც დირექტორი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა თევზით, კიბოსნაირებით მოლუსკებით, ხორცი და ხორცის პროდუქტებით.

კომპანიის იურიდიული მისამართი არის ქ. ქუთაისი აღმაშენებლის გამზ # 40, საქმიანობის ადგილს წარმოადგენს ქ. ქუთაისი გუგუნავას 5

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობის და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს.

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასევე არის საწარმოს ფუნქციონალური ვალუტა.

3. მნიშვნელოვანი საბურალტრო აღრიცხვის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსური აქტივს, ასევე მოერე საწარმოს ფინანსური ვალდებულებას.

საწარმო ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისათვის იყენებს ამორტიზებული ღირებულების მოდელს.

საწარმოს ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტებია:

ფულადი სახსრები- ფინანსური აქტივი

სავაჭრო დებიტორიული დავალიანება-ფინანსური აქტივი

სავაჭრო კრედიტორული დავალიანება-ფინანსური ვალდებულება

მიღებული სესხები-ფინანსური ვალდებულება

3.1 თავდაპირველი აღიარება და შეფასება

როდესაც საწარმო გახდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე, იმ მომენტიდან წარმოებს ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების პირველად აღიარებისას, საწარმო მათ შეფასებას ახდენს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის, ან მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების **დღევანდელი ღირებულებით**, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული **საბაზრო საპროცენტო განაკვეთით** და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

3.2 ფინანსური აქტივის და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას, რომელსაც გააჩნია ამ აქტივის მთლიანად გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა ნებისმიერ არადაკავშირებულ მესამე მხარეზე.

საწარმო ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარებას წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება გაყიდვიდან მისაღები თანხით. ჩვეულებრივ სავაჭრო მოთხოვნაზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და მოგება-ზარალში ასახვა.

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ეროვნულ ვალუტაში, საანგარიშგებო პერიოდისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში ან ხარჯებში.

საბანკო სესხები. საპროცენტო ხარჯი აღიარდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

სასაქონლო მატერიალური მარაგი. საწარმო მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და გასაყიდი ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს საქონლის გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის თვითღირებულება მოიცავს, მის შეძენასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების ერთეულის შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებისით. ცვეთის დარიცხვა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 5%
- მანქანა-დანადგარები 8%
- ოფისის აღჭურვილობა 20%
- სატრანსპორტო საშუალებები 20%

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ამონაგების აღიარება. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საგადასახადო კანონმდებლობით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი. 2017 წლის 1 იანვრიდან განხორციელებული საგადასახადო ცვლილების შესაბამისად საწარმოები მოგების გადასახადით იბეგრებიან გაუნაწილებელი მოგების განაწილების დროს. აღნიშნულ საწარმოს არ მოუხდენია გაუნაწილებელი მოგების გაცემა.

4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

საწარმოს სალაროს და საბანკო ანგარიშების ნაშთები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

ნაღდი ფული სალაროში	5,308
ფული საბანკო ანგარიშებზე	217,440
სულ	222,748

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირია:

სავაჭრო მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	513,034
სულ	513,034

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

6. გადახდილი ავანსები

საწარმოს გადახდილი ავანსები აქვს მხოლოდ მომწოდებლებზე და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირია

გადახდილი ავანსები მომწოდებლებზე	110,180
სულ	110,180

7. მარაგები

საწარმოს სასაქონლო მატერიალურ მარაგი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირია:

გასაყიდად განკუთვნილი მარაგი	609,818
სხვადასხვა მასალები	608
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	610,426

შპს „FISHWORLD“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

8. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
01 იანვარი 2018	116,903	164,528	18,285	9,738	309,454
შემოსვლა	-	77,510	4,519	17,658	169,874
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	116,903	242,038	22,804	27,396	409,141
ცვეთა და გაუფასურება					
01 იანვარი 2018	-	-	(1,925)	(1,948)	(3,873)
პერიოდის ცვეთა	-	-	(1,978)	(1,558)	(3,536)
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	-	-	(3,903)	(3,506)	(7,409)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
01 იანვარი 2018	116,903	164,528	16,360	7,790	305,581
31 დეკემბერი 2018	116,903	242,038	18,901	23,890	401,732

შპს „FISHWORLD“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

9. საბანკო სესხები

საბანკო სესხები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაწყების თარიღი	დახურვის თარიღი
სესხი #1 PCBG	USD	7 %	15.08.2018	15.08.2021
ხაზი #1 PCBG	USD	7.25 %	15.08.2018	27.02.2020
ხაზი #2 PCB	EUR	6 %	12.12.2018	12.12.2019

10. ფინანსური ანგარიშგების შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების წარდგენის შემდგომ აღდილი არ ქონია ისეთ მოვლენებს რომლებიც გავლენას მოახდენდა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და ახსნა განმარტებით შენიშვნებზე.

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 22 სექტემბერს